

მუხლი 845. ხელშეკრულების დადებაზე უარის დაუშვებლობა

თუ დამზღვევი ხელშეკრულების დადებისას დაარღვევს თავის მოვალეობას ცნობების შეტყობინების თაობაზე, მზღვეველს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარი განაცხადოს, თუკი ხელშეკრულების დადების შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ხელშეკრულებაზე უარი დასაშვებია, თუ შეტყობინების მოვალეობა განზრახ არ შესრულდა.

I. ნორმის მიზანი

როგორც წესი, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები ხანგრძლივი ვადით იდება. წინამდებარე ნორმაში გათვალისწინებული მოწესრიგებით კანონმდებელი მხარეთა ორმხრივ ინტერესებს ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისით 845, ერთი მხრივ, დამზღვევს ხანგრძლივი ვადით დადებული ხელშეკრულების მოულოდნელი შეწყვეტისა და არასასურველი შედეგებისგან იცავს. ხოლო, მეორე მხრივ, ნორმა კეთილსინდისიერი მზღვეველისა და მისი სახელშეკრულებო ინტერესის დაცვისკენაა მოწოდებული.

II. ნორმის შინაარსი

845 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს. წინამდებარე ნორმა ნაწარმოებია ხელშეკრულების დადების ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მომწესრიგებელი ზოგადი, 808-ში მოცემული, ნორმიდან (იხ. 808-ე მუხლის კომენტ.). გასათვალისწინებელია, რომ დაზღვევის ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ სიცოცხლის დაზღვევისას ენიჭება. ასეთია მაგალითად, დამზღვევის (დაზღვეულის) ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები და სხვ.

845 სპეციალურ მოწესრიგებას ითვალისწინებს და მზღვეველს უკრძალავს დამზღვევის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის საფუძველით ხელშეკრულებაზე უარის უფლების გამოყენებას. ასეთი აკრძალვისათვის კანონმდებელი აუცილებელ წინაპირობას ადგენს. კერძოდ, მზღვეველს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარი განაცხადოს, თუკი ხელშეკრულების დადების შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ასეთი დანაწესის დადგენით კანონმდებელი დამზღვევის ინტერესის დაცვას ცდილობს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნორმა მზღვეველის უარს დასაშვებად მიიჩნევს, თუ შეტყობინების ვალდებულება განზრახ არ შესრულდა. ამ ნაწილში კანონმდებელი უკვე მზღვეველის ინტერესს ითვალისწინებს და დამზღვევის არაკეთილსინდისიერების გამო მას სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის უფლებას არ უზღუდავს.